კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

ხელნაწერის უფლებით

კობა კობალაძე

გეოსტრატეგიული კოდის როლი ჩინეთის მსოფლიო გეოპოლიტიკური გავლენის ცენტრად ტრანსფორმაციის საქმეში: რეგიონული და გლობალური დონეები

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი, 0141, საქართველო

2024

სამეცნიერო ნაშრომი შესრულებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ვახტანგ მაისაია

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის პროფესორი

ოფიციალური რეცენზენტები:

ვახტანგ კაპანაძე

სამხედრო მეცნიერების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ნიკა ჩიტაძე

გეოგრაფიის მეცნიერების დოქტორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2024 წლის 19 ივნისს, 15:00 საათზე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0141, თბილისი, ჩარგლის ქუჩა N73, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, 305 აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

კავკასიის სადისერტაციო საბჭოს მდივანი: პეტრე მამრაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა

საერთაშორისო სისტემა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა, თითქმის მთლიანად შეიცვალა, რაც გამოწვეულია ახალი დიდი სახელმწიფოების წარმოქმნით, ეკონომიკის გლობალიზაციით, შედარებითი სიმდიდრისა და ეკონომიკური ძალის დასავლეთიდან აღმოსავლეთით ისტორიული გადანაცვლებითა და არასახელმწიფო აქტორების მზარდი გავლენით. თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში გლობალური მრავალპოლუსიანი სისტემა არსებობს, რომელშიც განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფო ძლიერებას შორის განსხვავება სულ უფრო და უფრო შემცირდება. აუცილებლობა იმისა, რომ სახელმწიფოებმა გააკონტროლონ ესა თუ ის სივრცე განაპირობებს მსოფლიოში ერთგვარ წონასწორობას, რათა შენარჩუნებული იქნეს მსოფლიო სტაბილურობა და წესრიგი სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებსა და საერთაშორისო ეკონომიკური კონტაქტების დამყარების დროს.

ტერორიზმი, ბირთვული იარაღის გავრცელება და კონფლიქტები დღემდე რჩება საერთაშორისო უსაფრთხოების ძირითად პრობლემად. ნაკლებსავარაუდოა, რომ 2025 წლისთვის ტერორიზმი გაქრება, მაგრამ შეიძლება შემცირდეს თუ ახლო აღმოსავლეთში ეკონომიკური ზრდა გაგრძელდება და ახალგაზრდებს შორის უმუშევრობა შემცირდება.შესაძლოა განახლდეს კონფლიქტის ისეთი სახეობები, როგორიცაა მაგალითად, დაპირისპირება რესურსების გამო. ენერგიის ნავარაუდევი დეფიციტი ქვეყნებს უბიძგებს იმოქმედონ, ენერგეტიკული მარაგის უზრუნველყსაყოფად. ბირთვული ტექნოლოგიებისა და ექსპერტული ცოდნის გავრცელება შეშფოთებას იწვევს ახალი ბირთვული სახელმწიფოების შესაძლო წარმოქმნისა და ტერიტორიული ჯგუფების მიერ ბირთვული მასალების ხელში ჩაგდების გამო. მომავალში ბირთვული იარაღის გამოყენება სავარაუდოდ მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ცვლილებებს გამოიწვევს, რადგან ზოგიერთი

სახელმწიფო ეცდება დაამყაროს ან გააძლიეროს კავშირები ბირთვული იარაღის მფლობელ სახელმწიფოებთან, ხოლო სხვები გლობალური ბირთვული განიარაღებისთვის ბრძოლას დაიწყებენ.

საქართველოს დამოკიდებლად არსებობის პერიოდში განვითარებულმა გეოპოლიტიკურმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ქვეყანას ესაჭიროება მჭიდრო ურთიერთობების განვითარება გლობალური გავლენის ცენტრებთან, რომლებსაც გააჩნიათ დიდი გავლენა მსოფლიო პოლიტიკაში. ასეთი გავლენის ცენტრად მოიაზრება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. სწორედ ჩინური გამოცდილების შესწავლა ხელს შეუწყობს საქართველოს ეროვნული ინტერესების სწორ განსაზღვრას და მის აღსრულების მექანიზმების შემუშავებას და ქვეყნის გეოპოლიტიკური იმიჯის გაძლიერებას, როგორც ქვეყნის შიგნით ისე საერთაშორისო არენაზე.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს მასშტაბით, საკუთარი სტრატეგიული მზნებისა და ამოცანების გადაჭრისათვის აქტიურად იყენებენ „ჰიბრიდული ომის“ მეთოდოლოგიას, რომელსაც საკმაოდ ეფექტურად ებრძვის ჩინეთი, შესაბამისი სამხედრო საშუალებბების გამოყენებით. ამ სახის ომის პირობებში უმნიშვნელოვანესი როლი უჭირავს კულტურულ და იდეოლოგიური ფასეულობების დაცვა და მათი გაძლიერება.

აღნიშნული კვლევის ერთგვარ სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს გეოსტრატეგიული კოდის ტერმინის ჩამოყალიბება და დამკვიდრება ქართულ სამხედრო-პოლიტიკურ ლექსიკონში, რაც ასე აქტუალურია დღევანდელი ქართული შეიარაღებული ძალების განვითარების საქმეში და რომელიც უკვე დაიწყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინიციატივით. ამას გარდა, თვით გეოსტრატეგიის არსის ზუსტი წარმოჩენა და გაშლა კვლევის ფარგლებში წარმოადგენს ასევე უნიკალურ გარემოებას სამხედრო მეცნიერების დამკვიდრების საქმეში. რაც შეეხება უშუალოდ თემის სპეციფიკას, აქ საინტერესო ფაქტორს შეადგენს ისიც, რომ სამეცნიერო-კვლევის ანალიზის კუთხით მოხდება შესწავლილი იმ ფენომენის თუ როგორ გადაიქცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა რეგიონული დონის

ლიდერ-სახელმწიფოდან გლობალური პოლიტიკის გავლენის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ცენტრად და რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი მის სუპერ-სახელმწიფოდ გარდაქმნას, განსაკუთრებით სამხედრო-პოლიტიკურ და სამხედრო-სტრატეგიულ კონტექსტში.

ნაშრომში საუბარი იქნება ჩინეთის სამხედრო პოტენციალზე და მზარდ საშიშროებაზე, რაც ხელოვნური კუნძულების მშენებლობით გამოიხატება. ნაშრომში ფართოდაა განხილული სამხრეთ ჩინეთის ზღვის კრიზისის საკითხი და ჩინური მხარის არგუმენტები სუვერენიტეტთან დაკავშრებით. ნაშრომში წარმოდგენილია საუკუნეს საქმედ წოდებული ფილიპინები-ჩინეთის ქეისი. აქვე განხილული იქნება ჩინეთ-საბჭოთა კავშირის და ჩინეთ-ვიეტნამის სამხედრო კონფლიქტების მიზეზები და მოხდება ამ კონფლიქტებში ჩინეთის სამხედრო პოტენციალის შედარებითი ანალიზის წარმოჩენა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა საკუთარ თავს წარმოდგენს როგორც მესამე სამყაროს წარმომადგენელი, რომელსაც გააჩნია დამოუკიდებელი საგარეო/საერთაშორისო სამშვიდობო პოლიტიკა. მესამე სამყარო - ამ ტერმინის უკან ჩინეთის სწავლულები გულისხმობენ იმ ფაქტს, რომ ქვეყანა არის ღარიბი და განვითარებადი, ასევე ის არ წარმოადგენს არცერთი „სუპერ ძალის“ ბლოკს, როგორიც იქმნება ხოლმე ამერიკის შეერთებული შტატების ირგვლივ, ან როგორიც იყო სოციალისტური ბანაკი საბჭოთა კავშირის მსგავსად. „დამოუკიდებლობა“ ნიშნავს იმას, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა არ აყენებს თავს რომელიმე დიდი ძალის გვერდით, იგი ცდილოვს დამოუკიდებლად განვითარდეს და აშენოს მშვიდობა.

ჩინეთის საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე გადაწყვეტილებები მიიღება ხუთ ძირითად პრინციპზე დაყრდნობით:

- სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა
- ორმხრივი თავდაუსხმელობის პატივისცემა
- ერთმანეთის შიდა საქმეებში ჩაურევლობა
- თანასწორობა და ორმხრივი სარგებელი

- მშვიდობიანი თანაცხოვრება

აღნიშნული ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ხუთი ძირითადი პრინციპი, რითაც დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა წარმართავს საკუთარ საგარეო ურთიერთობებს, მიღებულ იქნა ჯერ კიდევ 1954 წელს, როდესაც ჩინეთი, კომუნისტური მთავრობით სათავეში, ცდილობდა აზიის არაკომუნისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის დალაგებას.

დღეს, ეს ხუთი პრინციპი კვლავ ემსახურება სასარგებლო მიზანს, რითაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ამერიკული კონცეფციის ალტერნატივას, ახალი ტიპის მსოფლიო წესრიგს სთავაზობენ მსოფლიოს. ამერიკული სტანდარტი - სადაც საერთაშორისო წყობა და რეჟიმები ხშირად ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების ღირებულებებს და ინტერესებს, ზღუდავენ სუვერენული სახელმწიფოს უფლებებს შექმნან, განავითარონ ან გაყიდონ მასობრივი განადგურების იარაღი, დაიცვას ადამიანის უფლებები, განახორციელოს მერკანტილისტური და მარეგულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ხელს უშლის თავისუფალ ვაჭრობას და ზიანს აყენებს გარემოს. ჩინეთის მიერ შემოთავაზებული ალტერნატიული ხედვა ხაზს უსვამს ყველა სახელმწიფოს უფლებას, იქნება ის დიდი თუ პატარა, დასავლური თუ აღმოსავლური, მდიდარი თუ ღარიბი, დემოკრატიული თუ ავტორიტარული, თანაბარი, უპრეცედენტო სუვერენიტეტის ქონის შესახებ. ყველას უნდა ჰქონდეს უფლება დანერგოს საკუთარი მართვის სისტემა, მიუხედავად იმისა შეესაბამება თუ არა ის დასავლურ სტანდარტებს. კიდევ ერთი შეთავაზება ასეთი სისტემისთვის არის „მრავალფეროვნება“, რომელიც პასუხობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მმართველობის ხუთ ძირითად პრინციპს, და რომლითაც აიხსნება ის, თუ რატომ არ უნდა შეეძლოს ამერიკის შეერთებულ შტატებს სუსტ ქვეყნებში თავისი ღირებულებების დაწესება. ამდენად, ძირითადი პრინციპი, რომლითაც ჩინეთი გამოდის საერთაშორისო ასპარეზზე და აწარმოებს საერთაშორისო ურთიერთობებს ქვეყნებთან, არის სუვერენიტეტი, რომ არცერთ სახელმწიფოს არ აქვს უფლება ჩაერიოს სხვა სახელმწიფოს შიდა საქმეებში.

ჩინეთის პოზიციიდან გამომდინარე ის არ ცდილობს ჰეგემონიის ხელში ჩაგდებას, ჰეგემონია 1960-იანებში საბჭოთა კავშირის და მისი ექსპანსიონიზმის მთავარი კოდი იყო. დღეს ჩინეთი იგივე ტერმინს იყენებს იმის აღსაწერად რასაც აკეთებს ამერიკის შეერთებული შტატები ამერიკული ნების აღსრულების სახით სხვა ქვეყნებზე, იქნება ეს ვაჭრობის პრაქტიკა, იარაღის გავრცელება თუ ადამიანის უფლებები. ჩინეთი ამშვიდებს მის შედარებით პატარა მეზობელ ქვეყნებს, რომ მისი მზარდი ეკონომიკა და სამხედრო პოტენციალი არასდროს იქცევა რეგიონული დაშინების იარაღად მის ხელში, თუმცა მისი სამეზობლო კონფლიქტები სხვა რამეზე მეტყველებს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ყოველ კონფლიქტზე გამოდიოდა ერთი წინადადებით, რომ დავა უნდა მოგვარდეს მოლაპარაკებით. ეს იყო მათი პოზიცია ერაყისა და ირანის ომის დროს, იგივე პოზიცია გააჩნდათ ისრაელისა და არაბული სამყაროს დაპირისპირების დროს, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის და ყოფილი იუგოსლავიის კონფლიქტის დროს. U.N.- ის (გაერო) სხდომებზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ხშირად თავს იკავებს ან საერთოდ არ აძლევს ხმას ინტერვენციებს და მსგავსი უხეში გზების გამოყენებას, იქნება ეს სამოქალაქო ომის დასრულება, ტერორიზმის შეჩერება თუ რაიმე სხვა მსგავსი დონის საკითხი. ჩინეთის, როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის უარყოფითი ხმა წარმოადგენს ვეტოს, რითაც იგი ხშირად ანაწყენებს რეზოლუციის მომხრე ქვეყნებს.

ყველა ზემოთ მოყვანილი ფაქტორი ხაზს უსვამს აზიის და აღნიშნული რეგიონის მზარდ სამხედრო მნიშვნელობას. აზიელები ახლა უფრო მეტს ხარჯავენ თავდაცვაზე, ვიდრე ევროპელები, ხოლო აზიის თავდაცვის ხარჯები იზრდება იმ დროს, როცა გლობალური სამხედრო ხარჯები მცირდება. The Stock-holm International Peace Research Institute-ის მონაცემებით ზოგადად გლობალური სამხედრო დანახარჯები ერთი წლის განმავლობაში ოდნავ შემცირდა, აზია-წყნარი ოკეანის თავდაცვის ხარჯები კი 2014 წელს 5%-ით გაიზარდა. რეგიონული სამხედრო ხარჯებმა მთლიანობაში მიაღწია 439 მილიარდ დოლარს, ეს კი დამოკიდებულია იმ ფაქტზე,

რომ ჩინეთი ინარჩუნებს 9,7%-იან ზრდის ტემპს. ეს დისბალანსი აწუხებს სამხრეთ ჩინეთის ზღვის რეგიონის ქვეყნებს, კერძოდ, 2005 წლიდან ვიეტნამის თავდაცვის ხარჯები 128%-ით გაიზარდა. ეს ტენდეცია სავარაუდოდ გაგრძელდება ინდოეთთანაც, რომელმაც განაცხადა, რომ წლევანდელი წლისთვის თავდაცვის ხარჯების 11%-იანი ზრდა დაფიქსირდა და იგივე კურს ატარებს ინდონეზიაც.

ცხადია ამ გამალებულ სამხედრო რბოლაში მთავარი არბიტრი ჩინეთია, სწორედ ამიტომ 2009 წელს დაიწყო მუშაობა ამერიკულმა უსაფრთხოების ცენტრმა The Center for a New American Security (CNAS). რას ნიშნავს მსგავსი მილიტარიზაცია ჩინეთის მსოფლიოსთვის ამაზე Peter Navarro, აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტი, სხვადასხვა ნაშრომები და ანგარიშები ხსნის.

სახალხო განმათავისუფლებელი არმიის (PLA) რეალური ბიუჯეტი დღეს არის 200 მილიარდი დოლარი, რასაც ემატება ჩინეთის წლიური ზრდის 2% თავდაცვით ხარჯებზე. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის თავდაცვის ხარჯები ბიუჯეტის 4%-ს შეადგენს, ის შეილება უკან მოიტოვოს ჩინეთმა რამდენიმე წელიწადში. ჩინეთს აქვს სტრატეგიული სიღრმე და მიწის ბაზები, საიდანაც გამომდინარეობს მისი სწრაფვა გახდეს მოწინავე საზღვა ძალაც.

ჩინეთი აშენებს ბევრად უფრო ეფექტურ შესაძლებლობებს, რათა საბოლოოდ გააკონტროლოს საზღვაო და საჰაერო სივრცე, ასევე კიბერ და გარე სივრცე, სამხრეთ და მის გარშემო. nine-dash line-ის გასწვრივ ხელოვნური კუნძულების მშენებლობა არ არის მხოლოდ ამ ხაზის შემოფარგვლა, არამედ ის ემსახურება მეზობლების წინააღმდეგ ბერკეტების მოპოვებას და საერთაშორისო სამართალწარმოების დარღვევას. ჩინეთის ქმედებები შეიცავს სამ მხარეს, ეს არის ინფორმაციული, იურიდიული და ფსიქოლოგიური. ეს არის ის ფაქტები, რასაც ხედავს გარე სამყარო.

ამავე დროს, ნაშრომს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება საკვლევი მიმართულებით მომხდარი და პერსპექტიული საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებების გამოკვეთის თვალსაზრისით, რადგან სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული წარმატებული სამხედრო რეფორმების განხორციელება და

ეფექტური თავდაცვისუნარიანობის პირობების შექმნა წარმოადგენს მთავარ გარანტიას ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცების საქმეში. ამიტომაც ამ მხრივ ჩინური „სასწაულის“ განხილვა და შესწავლა, ანუ რეგიონული დონის სამხედრო ძლიერების ქვეყნიდან გლობალური დონის გავლენის ცენტრად გადაქცევა და იმ სამხედრო საფრთხეების წარმატებით გამკლავება, იქნება კარგი მაგალითი ქართული რეალობების პირობებში. გასათვალისწინებელი ის გარემოება, რომ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების გარემოს გაძლიერების პროცესში მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან სტრატეგიული პარტნიორის, მასთან ურთიერთობის ფორმებისა და მეთოდების სწორად განსაზღვრის მეთოდოლოგიის კვლევა, ისეთივეს როგორიცაა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზანია - ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო სტრატეგიის და ამოცანების ანალიზი და დესკრიფცია გლობალურ და რეგიონულ გეოსტრატეგიის დონეებზე. სამხრეთ კავკასიის რეგიონის აქტორების ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიათა შედარება. რისთვისაც გაკეთდა ზოგადი და კონკრეტული ანალიზი. ზოგადი ანალიზი მიმართული იყო კონტექსტური ანალიზისკენ, რათა გამოკვლეულიყო რომელ თეორიულ მიდგომას ემყარება იგი. კონკრეტული ანალიზი კი მოიცავდა ჩინეთის სამხედრო-სტრატეგიული ამოცანების და მიზნების მიღწევის საშუალებების დესკრიფციას და სამხედრო უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებულ საფრთხეების წარმოჩენას. სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების შედარების გზით კი, ვიკვლიე მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები; თუ რომელი თეორიული მიდგომა იყო ყველაზე მეტად გამორჩეული.

რაც შეეხება **კვლევის ამოცანებს**, რომლებიც განიხილება კვლევის თემატიკასთან მიმართებაში, წარმოადგენს შემდეგს:

- მსოფლიოში არსებული უსაფრთხოების ანალიზის შედეგად, ისეთი რეკომენდაციების წარმოდგენა, რომელიც ეფექტიანი იქნება საქართველოსთვის ჩინეთთან ურთიერთობების განვითარების საქმეში, განსაკუთრების სამხედრო სფეროებში თანამშრომლობისთვის.
- ისტორიული რეალობისა და აწმყოს შესწავლა და ანალიზი სახვადასხვა ფაქტორების და გარემოებების გათვალისწინებით;
- ახალი თაობის (მეოთხე) ომის ასპექტების წარმოჩენა;
- ვითარებათა ობიექტური შეფასება მსოფლიო ახალი წესრიგის ფონზე ძალთა ბალანსის ცვლილებისას;
- ევრაზიის სივრცეში არსებული გეოპოლიტიკური ცვლილებების და ტრანსფორმაციის თავისებურებების წარმოჩენა მსოფლიო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში;
- საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების და გლობალური გამოწვევების ასახვა, რომელიც ევრაზიის სივრციდან შეიძლება განვითარდეს.

ნაშრომის საკვლევი კითხვები:

1) როგორ და რა გზით განისაზღვრება გეოსტრატეგიული ბალანსის ფაქტორი ევრაზიული სივრცის უსაფრთხოების ფარგლებში?

2) როგორია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის პოლიტიკა და სამხედრო სტრატეგია და რა ინსტრუმენტები გააჩნია მას სტრატეგიული დამრტყმელი შეიარაღების გამოყენების და კონტროლის საქმეში?

3) რას წარმოადგენს გეოსტრატეგიული კოდი და რა ფაქტორებით განისაზღვრება მისი მნიშვნელობა ქვეყნის გეოპოლიტიკური ძლიერების სტატუსზე?

4) რა არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გეოპოლიტიკური ამოცანები მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკის პროცესებში, განსაკუთრებით რეგიონული სტრატეგიის შემუშავებისას?

ჰიპოთეზა

(H1): პოსტ-ბიპოლარულ ეპოქაში გლობალური წესრიგის ტრანსფორმაცია უკვე ლოგიკურ შედეგს მიუახლოვდა, დასრულდა გეოპოლიტიკური ტრანზიცია და უნიპოლარული სისტემა. სწორედ ამ ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების ფონზე, ძირითად საკითხს წარმოადგენს თუ ვინ შემოვიდნენ, როგორც ახალი აქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ პოლარობის რაობას უკვე მოქმედ საერთაშორისო უსაფრთხოების გლობალურ დონეზე. ჩინეთს სახალხო რესპუბლიკის მნიშვნელობა ამ პროცესში უკვე გახდა შემდგარი ფაქტი და ამიტომაც თანამედროვე პერიოდის საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ერთ-ერთი საკვანძო პრობლემა გახდა. თუ როგორ შესძლო ჩინეთმა გლობალური გავლენის ძალის სტატუსი მოპოვება და რა როლი შეიტანა ამ მხრივ, მისმა სამხედრო პოტენციალის გაძლიერებამ და რატომ ასრულებს დღეს ჩინეთი მნიშვნელოვან როლს მსოფლიოში უსაფრთხოების და მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

კვლევის საგანი და ობიექტი

საკვლევის პრობლემის და თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, განისაზღვრა ***კვლევის საგანი***, რომელიც წარმოადგენს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გეოსტრატეგიული კოდის მნიშვნელობა ქვეყნის გლობალური გავლენის აქტორად გარდაქმნის საქმეში, ხოლო ***კვლევის ობიექტია*** - ჩინეთის სამხედრო პოლიტიკის გავლენა რეგიონული უსაფრთხოების პროცესებზე.

კვლევის თეორიული საფუძვლები

კვლევის **თეორიულ** ნაწილში გამოყენებულია პოლიტიკური რეალიზმის საყოველთაოდ აღიარებული მიდგომები: ,,ძალთა ბალანსის“ თეორია, „გეოსტრატეგიული ბალანსის“ თეორია, „არშემდგარი ქვეყნის“ თეორია და „რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის“ თეორია.

„ძალთა ბალანსის“ თეორია - არის ერთ-ერთი უძველესი და უმთავრესი კონცეფცია საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში. იგი რეალიზმის სკოლის შემადგენელი ნაწილია და გამომდინარეობს საერთაშორისო ურთიერთობების ანარქიული სტრუქტურიდან. აღნიშნული თეორიის მიხედვით, რეალისტები საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის სხვადასხვა ეტაპების თავისებურებებს განმარტავენ. „ძალთა ბალანსის“ თეორიის მიხედვით, იმის გამო, რომ საერთაშორისო სისტემის ბუნება ანარქიულია, ყოველი სახელმწიფო თვითგადარჩენისთვის და თვითდამკვიდრებისთვის იბრძვის[1].

„გეოსტრატეგიული ბალანსის“ თეორია - გეოსტრატეგიული ბალანსის თეორია დაკავშირებულია გეოპოლიტიკის მეცნიერებასთან, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია ძალთა ბალანსის თეორიულ ასპექტებთან. გეოსტრატეგიული ბალანსის თეორია - ეს არის ცნება, სადაც ორი სამეცნიერო მიმართულება ისახება: პირველი ეს არის საერთაშორისო ურთიერთობების რეალიზმის სკოლა და მეორე, გეოპოლიტიკური აზროვნების მნიშვნელოვანი მხარეები. გარდა ამისა, გეოსტრატეგიულ ბალანსს გააჩნია რამდენიმე დეფინიცია, რომელიც უკავშირდება მსოფლიო პროცესების უსაფრთხოების გაგებას[2].

---

[1] რონდელი ა. “საერთაშორისო ურთიერთობები“, მესამე განახლებული გამოცემა, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2006 წ.

[2] მაისაია, ვ. „შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები“. ქართულევროპული ინსტიტუტი (პარიზი) კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი (თბილისი) - პარიზი, 2003 წ.

„თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია - რომელიც უკავშირდება საერთაშორისო უსაფრთხოების ცნობილი ამერიკელი მკვლევრის რიჩარდ კოენის სახელს, რომელიც გვთავაზობს უსაფრთხოების ისეთ მოდელს, რომელიც პრაქტიკულად აღსრულებადი ხდება იდეალიზირებული ქვაკუთხედიდან[3].

„რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის“ თეორია - რომლის ავტორების აზრით, რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსები ექსკლუზიურია და როდესაც გლობალური ძალები „ფარავენ“ შიდა რეგიონულ დინამიკას, არ ვლინდება რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსი. აღნიშნული თეორია მისადაგა კვლევის შინაარსს და განიხილა რეგიონული უსაფრთხოების სპეციფიკური მომენტები სამხრეთ აზიის და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონებში[4].

„უსაფრთხოების დილემა“ - ეს არის ვითარება, როდესაც სახელმწიფოს მიერ საკუთარი უსაფრთხოების გაზრდის მიზნით განხორციელებული ქმედებები იწვევს სხვა სახელმწიფოების რეაქციას, რაც თავის მხრივ იწვევს თავდაპირველი სახელმწიფოს უსაფრთხოების შემცირებას და არა ზრდას. ურთიერთდამოკიდებულება ყველაზე მეტად უსაფრთხოებაზე ახდენს გავლენას, კერძოდ - სახელმწიფოების მიერ თავიანთი ტერიტორიების დასაცავად მიღებულ ზომებზე. სხვა საგარეო პოლიტიკური მიზნების მსგავსად, ერთი სახელმწიფოს უსაფრთხოება სხვა სახელმწიფოების ქცევაზეა დამოკიდებული. სწორედ ეს წარმოშობს უსაფრთხოების დილემას, რომლის წინაშეც ყოველი სახელმწიფო დგას: საკუთარი უსაფრთხოების დაცვის ან განმტკიცების მიზნით სახელმწიფომ შეიძლება იმგვარი ზომები მიიღოს, რომლებიც სხვა სახელმწიფოთა უსაფრთხოებას შეამცირებს. შედეგად, ამ სახელმწიფოებმა შეიძლება საპასუხო ზომებს მიმართონ, რომლებიც პირველი სახელმწიფოს ქმედებების გაუვნებელყოფას ემსახურება და შეიძლება მას საფრთხეც შეუქმნას[5].

---

[3] Cohen R. "Cooperative Security: New Horizonts for International Order", the Marshal Center Papers#3, The George C. Marshall European Center for Security Studies, Garmsch-Partenkirchen, April 2001.

[4] Sadurski L. "Regional Security Complex Theory: Why Is This Concept Still Worth Developing", published in "Anthenaeum" volume 75(3), Polish Political Science Studies, Krakow, 2022.

[5] არტი, რ., ჯერვისი, რ. „საერთაშორისო პოლიტიკა: მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი - 2011.

„შეიარაღებული ძალების ოთხი ამოცანის“ თეორია - აღნიშნული თეორია კარგად ხსნის ნებისმიერი ქვეყნის შეიარაღებული ძალების პოტენციალის გამოყენების პერსპექტივებს. ამავე დროს, თეორია განმარტავს, თუ როგორ შეიძლება გამოიყენოს ქვეყანამ სამხედრო პოტენციალის ოთხი კომპონენტიდა ამოცანა: თავდაცვა, შეკავება, იძულება და ტრაბახი. ქვეყნების უმრავლესობას მიაჩნია საკუთარი ეროვნული ინტერესების მაქსიმალურად მიღწევისთვის უფრო მეტად დაეყრდნოს სამხედრო ხელისუფლებას და პოტენციალს[6]. აღნიშნული ფენომენი ზუსტად ახასიათებს თანამედროვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნულ ინტერესებს, რომელთა იმპლემენტაცია ხორციელდება ყველანაირი საშუალებებით.

„ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“ - უკავშირდება სახელმწიფოების მიერ სუვერენიტეტის შენარჩუნების და განმტკიცების მიმართულების გაძლიერებას. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია წარმოადგენს ქვეყანაში პოლიტიკური მართვის ისეთ მდგომარეობას, რომლის შედეგადაც ის მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელსაც იღებს ესა თუ ის სახელმწიფო, უფრო მეტად ზრდის საფრთხეებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ[7].

კვლევის მეთოდები

თემის დამუშავების დროს გამოყენებული სავარაუდო მეთოდოლოგია არსებული თეორიული მასალის განხილვა, ანალიზი და დასკვნების გამოტანა;

შემთხვევის გარჩევა Case study- დაგვეხმარება რეალური ფაქტების უკეთ ანალიზში. ამ მხრივ საინტერესოა, ე.წ. „SWOT Analysis“-ის მეთოდი დაგვეხმარება

---

[6] მაისაია, ვ., მაღრაძე, გ. 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა - რეგიონალური და გლობალური ასპექტები. გამომც. „უნივერსალი“ 2017 წ.

[7] სენკლერი პ., არიფენი ი. „საერთაშორისო პოლიტიკა: თანამედრობე თეორიები და ამოცანები“, მეხუთე გამოცემა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014 წ.

უკეთ წარმოვაჩინოთ ქვეყნის ძლიერი და სუსტი მხარეების რაობა და სწორად განვსაზღვროთ მისი როლი და ადგილი მსოფლიო პოლიტიკაში.

ნაშრომის დამუშავებისას გამოყენებული მეთოდოლოგია ძირითადად ეფუძვნება ემპირიული კვლევის საფუძვლებს, რაც მოიცავს მეცნიერული მიდგომის ერთგვარ იარაღს - ლოგიკა, ანუ სწორად აზროვნების სისტემა, რომელსაც ფაქტობრივი დაკვირვების საფუძველზე მივყავართ სანდო დასკვნის გაკეთებამდე:

თვისობრივი კვლევის მეთოდები:

- მონაცემთა ანალიზი;
- ინტუიტიურ-ლოგიკური მეთოდი. რომელიც ითვალისწინებს სამეცნიერო ნაშრომის გამოცემაში ესსეის სახით;
- ისტორიულ-აღწერილობითი
- რაოდენობრივი კვლევის მეთოდები:
- პოლიტიკის კვლევის ანალიზი;
- კონტენტ ანალიზი;
- ივენტ-ანალიზი.

ასევე გამოყენებული იქნება ინტერვიუს მეთოდი, რომელიც ამა თუ იმ მოვლენის მონაწილეებთან (ექსპერტებთან, ჟურნალისტებთან, თვითმხილველებთან, პოლიტიკოსებთან და ა.შ.) გასაუბრებას გულისხმობს. კვლევის მეთოდოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილია მოვლენათა ე.წ. „პარალელური“ ანალიზი, რომელიც შეფასებათა საინტერესო სპექტრს იძლევა. იგი გულისხმობს ექსპერტთა ფოკუს ჯგუფების მოწყობას. ასეთი ფოკუს ჯგუფები შეიძლება იყოს წარმომადგენლობითი და ინდივიდუალური. ეს მეთოდი მოვლენებნის მრვალამხრივი შეფასების საშუალებას იძლევა და სიტუაციური ანალიზისთვის საუკეთესო საფუძველს ქმნის.გამოყენებული მეთოდოლოგიის მთავარი დანიშნულებაა საკითხების მრავალმხრივი შესწავლა და საბოლოოდ, ობიექტური პროდუქტის შექმნა.

საერთო ჯამში, უკვე შერჩეული პოლიტიკური კვლევების მეთოდოლოგია მოიცავს სამ ძირითად კომპონენტს:

- ინფორმაციის მოპოვება
- მოვლენათა კლასიფიკაცია
- სიტუაციური ანალიზი
- ისტორიული ანალიზი

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ობიექტური სურათის მისაღწევად საჭიროა „შედარებითი“ მეთოდის გამოყენება, რომელიც სიტუაციური ანალიზის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. „შედარებითი“ მეთოდის არსი მდგომარეობს მოპოვებული ინფორმაციის სპეციფიურ ანალიზში, რომელიც მოვლენების შედარებას გულისხმობს. ეს განსაკუთრებით ეფექტურია რეგიონული პოლიტიკის ანალიზისას და ამა თუ იმ გეოპოლიტიკური მოვლენის მონაწილეთა ინტერესების შესწავლისას.

თემის მეცნიერული სიახლე

როგორ განსაზღვრავს და რა როლი უკავია ქვეყნის სამხედრო ძლიერების განმტკიცებისა და თავდაცვითი სახის ინსტიტუციანალურ რეფორმების მიზანდასახულ და ეფექტურ განხორციელებას (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მაგალითზე), მის სტატუს ქვოს განმტკიცებას გლობალური პოლიტიკის დონეზე და საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში განსაკუთრებული წვლილის შეტანას ახალი სახის სამხედრო საფრთხეების განვითარების ფონზე. ამავე დროს ყურადღება გამახვილდება, ჩინეთის, როგორც უკვე შემდგარი გლობალური გავლენის ძალის ცენტრის ფენომენზეც. აქვე პირველად მოხდება ტერმინ „გეოსტრატეგიული კოდის“ განსაზღვრა და შემოტანის მცდელობა პოლიტიკურ ლექსიკონში და განსაკუთრებით სამხედრო ტერმინოლოგიურ სივრცეში, რაც ამ ეტაპზე, საქართველოს პირობებში, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ეროვნული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონში ადგილის დასამკვიდრებლად. საქართველოში პირველად მოხდება გეოსტრატეგიული პოტენციალის შესახებ ფუნდამენტალური კვლევის

განხორციელება და მისი როლის განსაზღვრა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ამ ამხრივ ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური პოტენციალის გაძლიერების წარმოჩენა.

კვლევის მოსალოდნელი შედეგები

უსაფრთხოების კვლევების პრობლემატიკა ეხლა ვითარდება და თავის ადგილს პოულობს სამეცნიერო-კვლევით სფეროებში. ამ ამხრივ, პოლიტიკის მეცნიერება როგორც სამეცნიერო დისციპლინა და აკადემიური მიმართულება თავისთავში გულისხმობს მოვლენის ანალიზსა და შეფასებას. თუ პოლიტიკურ კონიუნქტურის გვერდის ავლის მცდელობა იწვევს ობიექტური პრეტენზიის გაჩენას. აღნიშნული კი საზოგადოების, სამეცნიერო და პოლიტიკური წრეების შეფასებაზეა ორიენტირებული. იმ შემთხვევაში, თუ მომხარებელი კვლევის ობიექტურობასა და სამეცნიერო ღირებულებაში რწმუნდება, მაშინ შეხმვედრ ნაბიჯს დგამს. სხვა სიტყვებით რომ ითქვას მომხარებელი ან არ იზიარებს კვლევის შედეგებს ან კამათობს და ოპონირებას ახდენს ავტორთან. იქმნება საზოგადოებრივი პროცესი, რომელიც თავისთავად მნიშვნელოვანი შედეგია. საქართველოში, როგორც საზოგადოებრივ, ისევე სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში მწვავე დეფიციტია ქვეყნის მომავალი განვითარების შესახებ პოლიტიკური კვლევებისა და აქედან გამომდინარე პოლიტიკური იდეებისაც. სამწუხაროდ, ქვეყნის საზოგადოებისთვის, უფრო მნიშვნელოვანია ზედაპირული საექსპერტო შეფასება, ვიდრე ღრმა ანალიზი. ეს განპირობებულია ბევრი მიზეზით, მათ შორის პოლიტიკური კულტურის დეფიციტითა და იმითაც, რომ ყველა პოლიტიკური ძალა ორიენტირებულია მხოლოდ ე.წ. „სამომხარებლო პოლიტიკაზე“ და იმითაც, რომ სამეცნიერო წრეები არ ავლევენ ბრძოლისუნარიანობას და ჩრდილში დგომას ამჯობინებენ.

ზოგად კონტექსტში შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ამ კვლევის მოსალოდნელი შედეგების კონკრეტული მიმართულეები:

- წარსულის და დღევანდელობის გაანალიზების საფუძველზე შეაფასოს ჩინეთის როლი და ადგილი თანამედროვე გეოპოლიტიკაში, განსაკუთრებით კი მისი ჩართულობა რეგიონულ პროცესებში, მაგალითად იგივე კავკასიაში;
- განიხილოს რიგი საფრთხეები, მათ შორის ასიმეტრიული ხასიათის, რომელიც ვითარდება ევრაზიის გეოპოლიტიკურ სივრცეში;
- გვექნება დებატები შესწავლილ საკითხთან;
- ვითარებათა ობიექტური შეფასება მსოფლიო ახალი წესრიგის ფონზე;
- ჩინეთის განსაკუთრებული როლის წარმოჩენა მსოფლიო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში;
- ჩატარებულ იქნეს ტრენინგები სტუდენტებისთვის აღნიშნულ თემატიკის ირგვლივ.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი გამოადგება ამ პრობლემაზე მომუშავე ყველა მეცნიერს, პრაქტიკოს ანალიტიკოსს და საერთაშორისო უსაფრთხოების ექსპერტებს. ასევე მისი გამოყენება შესაძლებელია უმაღლესი სასწავლებლების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში. ამავე დროს ნაშრომი გამოყენებული იქნება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო აკადემიის მსმენენელებისთვისაც. ნაშრომი შეიძლება გახდეს შესაბამისი უწყებების (საგარეო საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, თავდაცვის საბჭო და სხვები) გზამკვლევი საგარეო-პოლიტიკური მიმართულების თემატიკის საკითხებში და იყოს პრაქტიკული სახის მასალა სათანადო სფეროებში, განსაკუთრებით კი საქართველოს „ევრაზიული“ პოლიტიკური კურსის შემუშავებისას (იგულისხმება ურთიერობების განვითარება ჩინეთთან) გადაწყვეტილების მიღების საქმეში.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

სადისერტაციო ნაშრომის შესრულების დროს გამოყენებული იქნება ყველა მნიშვნელოვანი წყარო, რომელსაც კავშირი აქვს დისერტაციის თემასთან. მიუხედავად იმისა კონიუნქტურულია ის თუ არა. წყაროებისას შერჩევისას გამოყენებული იქნა შემდეგი სახის კრიტერიუმები:

- ✓ კომპეტენტურობა
- ✓ ინფორმატიულობა
- ✓ ორიგინალური ხედვა
- ✓ სიღრმისეული ხედვა
- ✓ ხედვების მასშტაბურობა
- ✓ ადგილობრივი და საერთაშორისო წყაროები

წყაროთა შეფასებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ნაწილი მათგანი მსოფლიოს პოლიტიკური განვითარების ზოგად შეფასებებს მოიცავს (მაგალითად, სემუელ ჰანტინგტონის, ფრენსის ფუკუიამას, ჯეფრი ჰეინესი, ფარედ ზაქარია, კონრად მარეკ მაჩიევსკი, ლუკაშ მაჩაი და სხვები), ზოგიერთი კი აღნიშნული თემის კონკრეტულ მიმართულებებს ეხება (კონსტანტინე სივკოვი, ვლადიმერ დერგაჩიოვი და სხვები), სხვანი კი ძირითადი თემის მონათესავე საკითხებზე ქმნიან ნაშრომებს (მაგალითად, დავიდ ბაბაიანი, ვლადიმერ კულაგინი, ვლადიმერ დერგაჩიოვი, ვახტანგ მაისაია, ალექსანდრე რონდელი, ნიკა ჩიტაძე და სხვები). საბოლოო ჯამში, ყველა ამ ტიპის წყარო აღნიშნულ თემასთან საინტერესო და გამოსადეგია და ეხება, როგორც ფუნდამენტალურ ნაშრომებს, ასევე საინფორმაციო და ანალიტიკური მასალები.

კონკრეტული სალიტერატურო წყაროების მიმოხილვისას შესაძლებელია განვიხილოთ ორი ასეთი სახის კონკრეტული მასალა, რომელსაც გააჩნია ამ თემატიკასთან უშუალო შეხება:

1) **ეპიფანე (ედიშერ) გვენეტაძე *„საერთაშორისო უშიშროების ასპექტები“*[8]** – მოცემულ ნაშრომში გაშუქებულია თანამედროვე სერთაშორისო უშიშროების აქტუალური საკითხები. ე. გვენეტაძის აზრით უშიშროების სფეროს უსასრულო გაფართოებას მსოფლიო ურთიერთქმედების ყველა სფეროზე, გააჩნია საკუთარი სპეციფიკა. მაგალითად, გლობალური გარემოს დაცვისა და ფინანსურ ნაკადზე კონტროლის ამოცანების გადაწყვეტა რეგიონული ან გლობალური კრიზისის დაშვების მიზნით არსებითად განსხვავდება იმისგან, თუ როგორ წყდება წინააღმდეგობანი, შეიარაღებული აგრესიის, გლობალური ტერორიზმის ან მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების თავიდან ასაცილებლად. ომების დამანგრეველმა ხასიათმა კაცობრიობას მისცა იმის საფუძველი, რომ შეექმნათ ,,საერთაშორისო უშიშროების სისტემა‘‘, რომელიც ,,ხელს შეუწყობს საერთაშორისო მშვიდობას და უშიშროების განმტკიცებას. ამ მიზნით მიღებულ იქნა ეფექტური კოლექტიური ზომები მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული საფრთხის თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად, აგრესიის ატქების ან მშვიდობის სხვა დარღვევების ჩასახშობად, სამართლიანობისა და სერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად მშვიდობიანი საშუალებებით მოხდეს საერთაშორისო დავების ან ისეთი სიტუაციების მოგვარება და გადაწყვეტა, რომლებსაც შესაძლოა მშვიდობის დარღვევა მოჰყვეს‘‘. (გაეროს წესდების I მუხლი). ასევე დიდ როლს ასრულებს ის ფაქტი, რომ საერთაშორისო უშიშროების პრობლემების ანალიზისათვის მინიშვნელოვანია მისი სამომავლო პერსპექტივაში განხილვა, რაც გულისხმობს მის ისტორიულ, მიზეზ–შედეგობრივ კავრშირში გააზრებას, როგორც პერიოდის, რომელიც გამომდინარეობს წინა ეტაპებიდან.

2) **გუგული მაღრაძე, ვახტანგ მაისაია ,,21– საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების‘‘ თეორია: მითი და რეალობა – რეგიონული**

[8] ეპიფანე (ედიშერ) გვენეტაძე „საერთაშორისო უშიშროების ასპექტები“, გამომცემლობა ,,იურისტების სამყარო‘‘, თბილისი, 2017 წ.

და გლობალური ასპექტები“[9]– წიგნში განხილულია უსაფრთხოების პრობლემები გეოპოლიტიკური ანალიზის კუთხით. მოგეხენებათ, რომ მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევის მიზნით გეოპოლიტიკური პროცესების შეფასებას და მათ სამხედრო პოლიტიკურ ანლიზსს უდიდესი როლი ენიჭება, ეს კი დღესდღეობით მთავარ ქვაკუთხედს წარმოადგენს მსოფლიო პოლიტიკური სისტემებისათვის. აქვე მოყვანილია ის მთავარი სექტორები, რომლებიც დიდ გავლენას ახდენს გლობალიზაციის პირობებში კაცობრიობის უსაფრთხოებაზე, ნაშრომში დეტალურად არის განხილული: სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი, ეკოლოგიური და საინფორმაციო უსაფრთხოება. ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ პოსტ–ბიპოლარული ეპოქის შემდეგ შეცვლილ საერთაშორისო პოლიტიკას და საერთაშორისო უსაფრთხოებას. აქ მაგალითის სახით მოყვანილი ჰყავთ ის საერთაშორისო ორგანიზაციები და გეოპოლიტიკური აქტორები, რომლებიც ჩამოყალიბდნენ „ცივი ომის“ პირობებში და ასევე მათი გარდასახვა დროთა განმავლობაში, როგორც „თანამშრომლობითი უსაფრთხოება“ – თეორიიდან პრაქტიკამდე.

3) **იგორ კვესელავა „მსოფლიოს ახალი წესრიგი და კავკასია“**[10] – ნაშრომში ავტორს ნათლად აქვს წარმოჩენილი ის შესაძლო გავლენები, რასაც მსოფლიოს ახალი წესრიგის ეპოქაში შეიძლება შეეჯახონ სახელმწიფოები, აქ ახალი წესრიგი განხილულია, როგორც ერთგვარი განაწილება, სადაც მხარეებს შორის იკვეთება არა მხოლოდ ძლიერი ქვეყნების სისუსტე, არამედ მათი გაბატონების საკითხი. დიდი ქვეყნების პოლიტიკაში უპირატესობა ენიჭებათ ძალისმიერ მეთოდებს, ამიტომ ისინი ნაკლებად იღებენ მხედველობაში პატარა ქვეყნებსდა მათ

[9] გუგული მაღრაძე, ვახტანგ მაისაია „21– საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა – რეგიონული და გლობალური ასპექტები“, გამომცემლობა „უნუვერსალი“ , თბილისი, 2017 წ.

[10] იგორ კვესელავა „მსოფლიოს ახალი წესრიგი და კავკასია“ , საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივესიტეტი“, 2009 წ.

პოლიტიკას. სწორედ ამიტომ არის, რომ თანამედროვე დიდ სახელმწიფოთა შორის ძნელად მისარწევია ერთიანი პოზიცია ახალი მსოფლიო წესრიგის საკითში. ავტორი მკაფიოდ აღნიშნავს კავკასიის გეოსტრატეგიული მიმზიდველობის მხარეს, როგორც რეგიონის სატრანზიტო პოტენციალის ასევე კასპიის მარაგების არსებობას. ახალი მსოფლიო წესრიგის და მისი გავლენის პორიცესი რეგიონებზე, დიდად არის დამოკიდებული მსოფლიოში არსებული კრიზისების ხანგრძლივობასა და მათ მაშტაბებზე. ავრტორი ახალი წესრიგის სანაცვლოდ იყენებს ტერმისნს ,,გლობალიზაცია" , ეს გახლავთ 21–ე საუკუნის გამოწვევა, რომლის მიმდინარეობა და შედეგები უმეტესწილად განისაზღვრება ძლიერი და დიდი სახელმწიფოების მიერ გატარებული პოლიტიკით.

4) **თენგიზ ფხალაძე, თორნიკე შარაშენიზე, გიორგი ვოლსკი, თეიმურაზ ქარუხნიშვილი, მარიამ ცაცანაშვილი, გიორგი გვიმრაძე, ნატო ბაჩიაშვილი, ნანა დევდარიანი ,,Soft Power რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი კონცეფცია საქართველოსთან მიმართებაში "[11],** – ნაშრმში განხილულია Soft Power, როგორც რუსული ძალის ინტერპრეტაცია. ნაჩვენებია განსხვავებები თუ როგორ იყენებენ ,,რბილ ძლას " სახელმწიფოები საკუთარი ინტერესების გასატარებლად, აქ ატორები გამოყფენ რუსულ ,,რბილ ძლას ". მიუხედავად იმ გარკვეული ხედვისა, რასაც ავტორები გამოხატავენ რუსული რბილი ძალის მიმართ ნაშრომი არ არის მიმართული რომელიმე ხალხის ან ხალხების წინააღმდეგ. კვლევის მიზანს წარმოადგენს გამოაცლინოს ის საფრთხეები, რომლებიც ერთი შეხედვით შეფარულულია და რაც მომავლის პერსპექტივაში სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენს. ავტორები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობა გარკვულწილად ,,კავკასიის გასაღებს წარმოადგენს" და რადგან რუსეთის ეკონომიკა ძირითადად

[11] თენგიზ ფხალაძე, თორნიკე შარაშენიზე, გიორგი ვოლსკი, თეიმურაზ ქარუხნიშვილი, მარიამ ცაცანაშვილი, გიორგი გვიმრაძე, ნატო ბაჩიაშვილი, ნანა დევდარიანი ,,Soft Power რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი კონცეფცია საქართველოსთან მიმართებაში ", გამომცმლობა ,,მთაწმინდელი", 2010 წ.

დამოკიდებულია ენერგონედლეულის რეალიზებაზე, სწორედ ეს ფაქტი განაპირობებს რუსეთის დანარჩენ მსოფლიოსთან ხელსაყრელი პოლიტიკური ურთიერტობების სტრატეგიულ მნიშვნელობას. ამგვარად რუსეთის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში მოტივირებულია და მისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ალტერნატიულ დერეფანზე კონტროლის არსებობა. რუსეთის მიერ ,,რბილ ძლის'' გამოყენება, როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტი მკაფიოდ იკვეთება მათ საკონსულო საქმიანობაში, მათ მიერ მართულ მედიაში, კულტურასა და განათლებაში, რის საფუძველზეც ის ცდილობა გააძლიეროს ზეგავლენა და სამხრეთ კავკასია აქციოს საკუთარი ,,პრივილეგირებული ინტერესების'' დე ფაქტო ზონად. ავტორები ხაზს უსვამენ იმ გაერებოებას, რომ ,,რბილ ძლის'' ფორმირება დინამიურად განვითარებადი პროცესია, რაც მიდმივად ვლინდება მეზობელი სახელმწიფოების მიმდინარე პოლიტიკურ თუ ეკონომიკური პროცესებში.

5) **ჯემალ გახოკიძე ,,ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი პრობლემები''[12]**– ნაშრომი მთავარ გზამკვლევს წარმოადგენს სოციალურ–პოლიტიკური მეცნიერებით დაინტერესებული მკითხველისათვის. ავტორს წიგნის სახელმწოდებიდან გამომდინარე თანმიმდევრობით აქვს განხილული თემაში შემავალი ყველა ასპექტი და პრობლემა. ნაშრომში დეტალურად არის ახსნილი ეროვნული უსაფრთხოების ყველა კომპონენტი დაწყებული ეროვნული ინტერესებიდან, დამთავრებული ეროვნული უსაფრთხოების გლობალური პრობლემებით. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მიუხედავად საკითხის გლობალურობისა ავტორი ამომწურადვად განიხილავს ასევე იმ საკითხებსაც , რომლებიც საქართველს სინამდვილეში მეტი აქტუალობით გამოირჩევა, აქ შეგვიძლია გამოვყოთ: საქათველოს საგარეო პოლიტიკური საფუძვლების

[12] ჯემალ გახოკიძე ,,ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი პრობლემები'', გამომცემლობა, ,,ტექნიკური უნივესიტეტი'' , თბილის, 2007 წელი.

ჩამოყალიბება, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი ამოცანები და ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი პრობლემები;

6) **ვახტანგ მაისაია „შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები“[13]** - საგულისხმოა, რომ იგი ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოს ძირითადი ატრიბუციების განსაზღვრაზე, სადაც ეყრდნობა მაქს ვებერის მიერ გამოყენებულ განმარტებას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოში იგულისხმება საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც ეფექტურად ფლობს ძალის ლეგიტიმური გამოყენების მონოპოლიას ტერიტორიული საზღვრების შიგნით. ამ წიგნში ასხნილის გეოპოლიტიკური კოდის მნიშვნლეობა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის სწორად წარმართვის საქმეში და ახსნილია რეგიონულ უსაფრთხოების სისტემაზე სამხედრო და შეიარაღებული კონფლიქტების გავლენის ფაქტორის მნიშვნელობა და მათი კორელაცია გეოსტრატეგიულ ბალანსის თემასთან რეგიონულ დონეებზე.

7) **Colin S. Gray, „War, Peace and International Relations: An Introduction to Strategic History“[14]** - ომი, მშვიდობა და საერთაშორისო ურთიერთობები უზრუნველყოფს შესავალს სტრატეგიული ისტორიის დანერგვაში ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ იქნა ფორმირებული და ძლიერ შეცვლილი 200 წელიანი ისტორია ომების მიერ. წიგნში ფართოდ არის განხილული, თუ რა იყო მოცემული ომების მიზეზები, კურსები და ომის შედეგები. კოლინ გრეის, წიგნი სტუდენტებს აძლევს კარგ ნიადაგს თანამედროვე ომის განვითარების შესწავლაში, თანამედროვე ინდუსტრიის ეპოქაში საერთაშორისო ტერორიზმისა და ჭკვიანური იარაღის არსებობის პირობებში. წიგნში მოცემულია ბოლო ორი საუკუნის ყველა დიდი ომები, ასევე

[13] მაისაია, ვ. „შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები“. ქართულევროპული ინსტიტუტი (პარიზი) კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი (თბილისი) - პარიზი 2003 წ.

[14] Colin S. Gray, War, Peace and International Relations: An Introduction to Strategic History (London and New York: Routledge, 2013).

სტრატეგიული სწავლების, უსაფრთხოების სწავლების, ომის სწავლების, საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო ისტორიის ძირითადი საკითხები.

8) **"The Diversified Employment of China's Armed Forces" (Information Office of the State Council- the People's Republic of China[15].** - ამ დოკუმენტში, მოყვანილია ზუსტი მონაცმები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო განმათავისუფლებელი არმიის (ოფიციალური დასახელება) პოტენციალის, როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით და გადმოცემულია არმიის დოქტრინალური მიდგომების ძირითადი ასპექტები, ისევე როგორც ჩინეთის სამხედრო სტრატეგიის პრიორიტეტები, როგორც გლობალურ, ისე რეგიონულ დონეებზე.

9) **В.Н. Конышев, А.А. «Современная военная стратегия»[16]** - ამ სასწავლო სახელმძღვანელოში გადმოცემულია თანამედროვე სამხედრო სტრატეგიების მდგომარეობა და არსი, რომლებიც მიესადაგებიან 21-ე საუკუნის გეოსტრატეგიული ვითარების რეალიებს. მასში ასახულია ოთხი ყველაზე გავლენიანი გეოსტრატეგიული გავლენის ცენტრის - აშშ, რუსეთის ფედერაცია, ნატო და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო-პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული მიზნები და ამოცანები და გაანალიზირებულია მათი შესაბამისი კონცეპტუალური დოკუმენტების - სამხედრო სტრატეგიების მიდგომები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თანამედროვე „დიდი სტრატეგიის" მიმოხილვა და ამ სტრატეგიის ძირითადი პრინციპების და მიზნების მიმოხილვა. დღეს ჩინეთი 9-11%-იანი ეკონომიკური ზრდის ტემპების გათვალისწინებით სამხედრო

[15] "The Diversified Employment of China's Armed Forces" (Information Office of the State Council- the People's Republic of China. April 2013, Beijing, Windows on Chinese Armed. Forces//URL:http://English.pladialy.com cn/).
[16] В.Н. Конышев, А.А. «Современная военная стратегия» (Аспект Пресс, Москва. 2014).

ასიგნებებზე გამოყოს დაახლოებით 215 მლრდ. ამერიკულ დოლარს და ამ მონაცემებით მეორე ადგილზეა, აშშ-ს შემდეგ.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

სადოქტორო ნაშრომი **,,გეოსტრატეგიული კოდის როლი ჩინეთის მსოფლიო გეოპოლიტიკური გავლენის ცენტრად ტრანსფორმაციის საქმეში: რეგიონული და გლობალური დონეები“,** წარმოდგენილია A4 ფორმატით, 166 გვერდზე.

ნაშრომი შედგება შესავლის სამი თავის, ცხრა ქვეთავისა და დასკვნისაგან. ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია ბიბლიოგრაფი რომელიც შედგება 154 წყაროსგან.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

ნაშრომის შესავალ ნაწილში გადმოცემულია თემის აქტუალურობა, კვლევის მიზნები და ამოცანები, საკვლევი კითხვები, ჰიპოთეზები, კვლევის საგანი და ობიექტი, კვლევის მეთოდები, მეთოდოლოგია, სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე, ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა, თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და დისერტაციის სტრუქტურა.

თავი I. გეოსტრატეგიული კოდის ფაქტორი ჩინეთის მსოფლიო გავლენის ცენტრად ფორმირების პროცესში და მისი თეორიული ჩარჩო. 1.1. გეოსტრატეგიული კოდის არსი, სამხედრო-სტრატეგიული ტიპოლოგია, მეთოდოლოგიური საფუძვლები და მისი პოლიტიკური ფაქტორების განსაზღვრელი დეტერმინანტები. 1.2. ევრაზიული სივრცის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა და ჩინეთის გეოპოლიტიკური კოდის რაობა. 1.3. „ცივი ომის“ ფენომენი და ჩინეთის სამხედრო დოქტრინის გეოპოლიტიკა.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია ევრაზიული სივრცის როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში, ასევე აღნიშნულ პროცესში ჩინეთის ფაქტორი და მისი გავლენა ევრაზიული სივრცის განვითარებაში და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. მნიშვნელვანი ყურადღება ეთმობა ჩინეთის სტრატეგიის და სამომავლო პოლიტიკის წამოცენას. სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში შესწავლილია გეოსტრატეგიული კოდის არსი, რაც განსაზღვრას ჩინეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მნიშვნელოვანი ყურადღებაა დათმობილი სამხედრო-სტრატეგიული ტიპოლოგიის და მეთოდოლოგიური საფუძვლების შესწავლაზე, ასევე მისი საგარეო პოლიტიკური ფაქტორების განმსაზღვრელ ასპექტებზე. ნაშრომში ასევე განხილულია „ცივი ომის“ ფენომენი და ჩინეთის სამხედრო დოქტრინის ტრანსფორმაცია მსოფლიოში განვითარებული პოლიტიკური პროცესების და გეოპოლიტიკური მოვლენების ფონზე.

თავი II. ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელი არმია როგორც ქვეყნის გეოსტრატეგიის რეალიზების მექანიზმი. 2.1. ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელი

არმიის ისტორია და რეალობა: ჩინური „ჭკვიანი ძალის“ ფაქტორი. 2.2. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის „ბირთვული ტრიადის“ გეოსტრატეგიული მიდგომები. 2.3. ჩინეთის სამხედრო კონფლიქტებში მონაწილეობის პოლიტიკური ფაქტორები.

ნაშრომის მეორე თავში განხილულია ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელი არმიის ფაქტორი მის სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებაში. არმიის როლი, როგორც ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური ინსტრუმენტის საკმაოდ მნიშვნელოვანია რადგან სწორედაც, რომ ის განსაღვრავს ძირითად დასაყრდენ ძალას ქვეყნის ძალაუფლების განმტკიცები და შენარჩუნების საქმეში. ნაშრომში მნიშვნელოვანი ყურადღებაა გამახვილებული ჩინეთის „ჭკვიანი ძალის“ ფაქტორზე. ჩინეთის პოლიტიკურ ცხოვრების გასაგებად მნიშვნელოვანია სახალხო განმათავისუფლებელი არმიის ისტორიის შესწავლა და მიმდინარე პოლიტიკური როლის ანალიზი. ნაშრომში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის „ბირთვული ტრიადის“ გეოსტრატეგიული ასპექტების შეწავლას და ანალიზს. ნაშრომში განხილულია ჩინეთის სამხედრო კონფლიქტებში ჩართულობის პოლიტიკური ასპექტები, კერძოდ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის სამხედრო კონფლიქტი რომელმაც გარკვეული ასავა მოახდინა ჩინეთის სახელმწიფოს განვითარებაზე და ჩინეთ-ვიეტნამის ხანმოკლე ომი, სადაც გამოიკვეთა ჩინეთის გეოპოლიტიკური როლი რეგიონალურ კონფლიქტში.

თავი III. ჩინეთის გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციის გეოსტრაგიული პარადიგმა. 3.1. თანამედროვე ჩინეთის სამხედრო სტრატეგიის თავისებურებები. 3.2. ჩინეთის გეოსტრატეგიული კოდის რეალიზაცია გლობალური უსაფრთხოების პირობებში: მისი რეალური იმპლემენტაციის პერსპექტივები. 3.3. ჩინეთის გეოსტრატეგიული კოდის SWOT-Analyse.

ნაშრომის მესამე თავი დაეთმო ჩინეთის გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციის გეოსტრტაგეიული ასპექტების კვლევას, თუ რა გზა გაიარა მან რეგიონულიდან მსოფლიო ლიდერობისკენ და რა გეოპოლიტიკური სირთულეების დაძლევა მოუწია.

სიტუაციური ანალიზის ფარგლებში განხილულ იქნა პოსტ-ბიპოლარული პერიოდის ჩინეთის სამხედრო სტრატეგიის თავისებურებანი და „დიდი სტრატეგიის“ კონცეფცია ბირთვული ომის სტრატეგიული მოდელირებაში. კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო ჩინეთის ბირთვული შეკავების პოლიტიკის განსაზღვრას ახალი გეოსტრატეგიული ფონის გათვალისწინებით რომელიც შექმნილია მსოფლიოში. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ჩინეთის გეოსტრატეგიული კოდის რეალიზაციის გლობალური უსაფრთხოების ასპექტები და მისი რეალური იმპლემენტაციის გეოპოლიტიკური მახასიათებლები.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, ჩინეთის როლი და ფაქტორი მსოფლიო პოლიტიკაში და ის ძირითადი მექანიზმები, რაც ხელს უწყობს მის სამხედრო-პოლიტიკურ ძლიერებას. სადისერტაციო თემისთვის შერჩეულ იქნა რელევანტური კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია, რომლის ფაგლებშიც განხორციელდა მნიშვნელოვანო კვლევა რომლის შედეგადაც გაეცა პასუხები საკვლევ კითხვებს და დამტკიცდა ჰიპოთეზა. კვლევის მნივნელოვანი ნაწილი დაეთმო ჩინეთის გეოსტრატეგიული კოდის SWOT-Analyse-ის მეთოდს, რომლის ფარგლებშიც გამოიკვეთა მთავარი ასპექტები ჩინეთის გაოსტრატეგიული გოდის და მისი იმპლემენტაციის მექანიზმების. ნაშრომის ბოლო ნაწილი დაეთმო დასკვნას, სადაც გამოკვეთილია კვლევი ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლეები, ასევე გაცემულია პასუხები საკვლევ კითხვებზე და დამტკიცებული დისერტაციის ჰიპოთეზა.

დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია კვლევის ძირითადი შედეგები, პასუხი გაცემულია საკვლევ კითხვებზე, ჩამოყალიბებულია ჰიპოთეზის დადასტურება და წარმოდგენილია კვლევის შედეგად მიღებული სიახლეები.

21-ე საუკუნეში ჩინეთი გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტორი მსოფლიო პოლიტიკაში. მისი სამხედრო-ეკონომიკური და პოლიტიკური პოტენციალი მნიშვნელოვან ყურადღებას იპყრობს სახვადასვხა სახელმწიფოების მხრიდან, რადგა ესოდენ მზარდი როლი მსოფლიო პოლიტიკაში აუცულებლად შესწავლილი და გაანალიზებულ უნდა იქნას. ამას მოითხოვს სტრატეგიული ბალანსის თეორიული ხედვა და სახელმწიფოებიც შესაბამის პოლიტიკას ატარებენ. ჩინეთის მიერ გატარებულმა სახელმწიფო რეფორმებმა და სტრატეგიულმა ხედვამ მას მისცა საშუალება გამხდარი საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო მისი ყველა კომპონენტით. ჩინეთი უკვე აქტიურად შეუდგა საკუთარი გავლენის გავრცელებას მოსაზღვრე რეგიონებში და შესაბამისად სრულიად მსოფლიოში. დღეს მიმდინარე გეოპოლიტიკური პროცესი, რაც ითვალისწინებს გეოპოლიტიკურ ტრაქწზაქციას მოითხოვს მნიშვნელოვან სიფრთხილეს ბევრი სახელმწიფოების მხრიდან და მითუმეტეს პატარა ქვეყნების მხრიდა, რადგანაც ისინი უფრი მოწყვლადები არიან. ამავე დროს მათზე გავლენის მოხდენა უფრო მარტივი პროცესია თუ ისინი რთულ გეოპოლიტიკურ მოცემულობაში არიან. ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირება როგორ დასრულდება ამის პროგნოზირება რთული პროცესია თუმცა სახელმწიფოებს მართებთ საკმაოდ ფრთხილი და პრაგმატული პოლიტიკის გატარება გადარჩენისთვის.

ჩინეთის აშკარა მცდელობებმა ბირთვული იარაღის არსენალის გასაფართოებლად სამართლიანად მიიპყრო დაინტერესებული მხარეების ყურადღება, რომლებიც მონაწილეობენ ბირთვულ იარაღსა და განიარაღებაზე გლობალურ საუბრებში. ჩინეთის მთავარი მიზანი, მოდერნიზდეს თავისი არმია, და კონკრეტულად, მისი ბირთვული შესაძლებლობები, გამომდინარეობს მისი

სურვილიდან დაამყაროს უზენაესობა მსოფლიო წესრიგში. აშშ-ის უფრო დიდი ბირთვული არსენალი და მისი უმაღლესი ბირთვული ტრიადა დიდი ხანია აწუხებს ჩინეთს. აქედან გამომდინარე, მან აიღო ბირთვული იარაღისა და მიწოდების სისტემების უფრო დიდი მარაგი, რომელიც დაეხმარება მას მის მიწაზე პოტენციური თავდასხმის დაძლევაში. ბირთვული იარაღის გავრცელებასთან ერთად ისეთ სახელმწიფოებში, როგორიცაა ჩრდილოეთ კორეა ასეთიარსენალი ზრდა იწვევ დამტებით საშიშროებას. მათ შორის საერთაშორისო შეთანხმებების დარღვევა, როგორიცაა INF ხელშეკრულება, ჩინეთის შეუთანხმებელი პოლიტიკის და NEW START-ზე არ შეერთებით შეერთებულ შტატებთან და რუსეთთან განიარაღების ახალი ზომების მიღების მიმართ, გაიზარდა პოტენციური ბირთვული ესკალაციების ან ახალი შეიარაღების რბოლის შესახებ შეშფოთება, რაც შეიძლება არ იყოს სრულიად დაუსაბუთებელი. რაც უფრო მეტი ბირთვული შეიარაღებული სახელმწიფო იარსებებს მით უფრო გაიზრდება ბირთვული ესკალაციის შესაძლებლობები და გაიზრდება მტრობა ქვეყნებს შორის, იქნება ეს ბირთვული თუ არაბირთვული, იზრდება როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური გავრცელების ალბათობა.

ჩინეთის ესეოდენ მძლავრმა აღზევებამ აშშ-ის მხრიდან გამოიწვია გარკვეული უარყოფითი რეაქციები რადგან მის ინტერესებში არ შედის ესოდენ მნიშვნელოვანი გაძლიარება მისი. მათი დაპირისპირების პირდაპირი უშუალო მაგალითია ეკონომიკური ომი რომელიც ტრამპის პერიოდში ყველაზე მეტად გამწვავდა, თუმცა ორივე სახელმწიფო მიხვდა იმ შედეგების გაზომილებას რაც მოყვებოდა მათ დაპირისპირებას უფრო აგრესიული ფორმით. რადგანაც ორივეს ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის მიბმული ერთმანეთზეც და დამოკიდებული, რაც გლობალიზაციის პროცესმა გამოიწვია. მნიშვნელოვანი კომპანიების და საწარმოების უმეტესობა რომელიც ჩინეთშია ძირითადად ამერიკული და დასავლურია, რაც მნიშვნელოვანი ბერკეტია, როგორც აშშ-ის ხელში, ასევე ჩინეთის. რადგან თუ აშშ-ს პოზიცია იქნება ის მოახდენს მათზე გავლენას და ანალოგიურად ჩინეთსაც საკუთარი გავლენის ბერკეტები გააჩნია ხელს შეუშლის მათ საქმიანობას ან კიდევაც დახურავს

მათ. მნიშვნელოვანი დაპირისპირების საგანს წარმოადგენს აშშ-ს, დასავლეთსა და ჩინეთს შორის, ჩინეთში არსებული პოლიტიკური რეჟიმი და წყობა რაც ნამდვილად არ არის დემოკრატიული და იმსახურებს დასავლეთის მხრიდან გარკვეულ კრიტიკას. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია გარკვეული წლების განმავლობაში აშშ-ს და დასავლეთს ეთანამშრომლა ჩინეთთან აქტიურად, რაც დღესაც გრძელდება. ჩინეთის როლის და ფაქტორის გათვალისწინება აუცილებელია საერთაშორისო პოლიტიკაში ისეთი სახლმწიფოებისთვის რომლებიც მის გარკვეულ გეოპოლიტიკურ არეალში არიან მოქცეული და რომელზეც გადის ,,ერთი სარტყელი ერთი გზის" ინიციატივა. ჩინეთს გააჩნია კიდევ შორს მიმავალი გეგმები, რაც მსოფლიოში გამოიწვევს მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ ცვლილებებს. მითუმეტეს მაშინ როდესაც ჩინეთ-რუსეთის თანამშრომლობა მსოფლიოში ბევრ საკითხში ერთმანეთს ემთხვევა და ერთიანი პოზიცია გააჩნიათ.

პირველი საკვლევი კითხვის პასუხად თუ როგორ და რა გზით განისაზღვრება გეოსტრატეგიული ბალანსის ფაქტორი ევრაზიული სივრცის უსაფრთხოების ფარგლებში? - შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიული ბალანსის გარეშე შეუძლებელია მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფა, ,,ვიცი ომის" პერიოდში და ისტორიულად მანამდეც თუ გადავხედავთ ძალთა ბალანსის როლი და ფაქტორი მსოფლიო პოლიტიკაში ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან მისი საშუალებით ხდებოდა სახელმწიფოებს შორის, თუ სახელმწიფოთა ჯგუფებს შორის დაბალანსების პოლიტიკის გატარება. რაც გულისხმოს იმას, რომ თუ ერთი სახელმწიფო უფრო მეტად გაძლიარდება მეორეზე მაშინ დაირღვევა სტრატეგიული ბალანსი, რაც მეორე სახელმწიფოს აიძულებს დაიწყოს მილიტარიზაციის პოლიტიკა, რათა სტრატეგიული ბალანსი დაცული იქნას.

მეორე კითხვის პასუხად თუ როგორია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის პოლიტიკა და სამხედრო სტრატეგია და რა ინსტრუმენტები გააჩნია მას სტრატეგიული დამრტყმელი შეიარაღების გამოყენების და კონტროლის საქმეში? - კვლევი შედეგად გამოიკვეთა, რომ ჩინეთის თავდაცვის პოლიტიკა და სამხედრო

სტრატეგია არის მიმართული მოდერნიზაციისაკენ და მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს სამხედრო-ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვას. ჩინეთი ყოველწლიურად ზრდის სამხედრო ბიუჯეტს, ზრდის საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო სამხედრო შეიარაღებას. რაც შეეხება სტრატეგიული დამრტყმელი შეირაღების გამოყენებას ის არ გამორიცხავს მოწინააღმდეგეე პრევენციული დარტყმის სტრატეგიას თუმცა ღიად გათმული აქვს, რომ ის არ გამოიყენებს სამხდრო აგრესიას მანამ სანამ ამის გარდაუვალი აუცილებლობა არ დადგება.

მესამე კითხვის პასუხად თუ რას წარმოადგენს გეოსტრატეგიული კოდი და რა ფაქტორებით განისაზღვრება მისი მნიშვნელობა ქვეყნის გეოპოლიტიკური ძლიერების სტატუსზე? - ნაშრომის პირველ თავში და მესამე თავში დეტალურადაა ახსნილი გეოსტრატეგიული კოდის არსი და ჩინეთის პოლიტიკა თუ როგორ იმართება ამ კოდის მეშვეობით. ჩინეთს გააჩნია ტაქტიკური მიდგომა საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, რაც ნაკარნახევია მისი გეოსტრატეგიული კოდით რომელიც დაფუძნებული პრაგმატულ პოლიტიკაზე.

მეოთხე კითხვის პასუხად თუ რა არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გეოპოლიტიკური ამოცანები მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკის პროცესებში, განსაკუთრებით რეგიონული სტრატეგიის შემუშავებისას? კვლევი შედეგად დადგინდა, რომ ჩინეთი აქტიურად მიისწრაფვის არამარტო რეგიონალური დონეზე თავისი ძალაუფლების გალიერებისაკენ არამედ ის ცდილობს გახდეს ჰეგემონი სახელმწიფო, რისთვისაც ის წლებია აქტიურად ნაბიჯნაბიჯ დინჯად ახორციელებს საკუთარ გათვლილ პოლიტიკაც, რაც თავის თავში არ გულისხმობს აგრესიული პოლიტიკის გატარებას არამედ ეკონომიკური პოლიტიკის გატარები ძალუფლების ხელში ჩაგდებას. რადგან 21-ე საუკუნეში განსხვავებით 20-ე საუკუნისგან გეოეკონომიკური ფაქტორები უფლო მძლავრობს და ის ვის ხელშიცაა ეკონმიკური ბერკეტები მსოფლიოში მას შეუძლია გახდეს ჰეგემონიც. თუმცა ამისათვის რიგი გეოპოლიტიკური პროცესების გატარებაა საჭირო მისი ინტერესების სასარგებლოდ და სტრატეგიული პარტნიორების ჯგუფის შექმნა. ამ მიმართულებითაც ჩინეთი ძალიან

გააქტიურებულია და რაც შეეხება მსოფლიო ეკონომიკას ჩინეთი მეორე ადგილზეა აშშ-ის შემდგომ თუმცა რიგ ეკონომიკურ პარამეტრებში და ინდექსებში უსწრებს მის ეკონომიკუს და პოლიტიკური მეტოქეს აშშ-ს. ამ გეოპოლიტიკური გადანაწილების და ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების პროცესში არ უნდა დაგვავიწყდეს რუსეთის როლიც და გარკვეული გავლენაც, რაც მას გააჩნია გარკვეულ რეგიონებზე მსოფლიოში და ასევე ევროკავშირს. ჩინეთს ზურგს უმაგრებს რუსეთი, ხოლო აშშ-ს ევროკავშირი, რაც მათ რეგიონული ორგანიზაციების მეშვეობით განმტკიცებული აქვთ. შესაბამისად დღეს მიმდინარეობს ბრძოლა პირველობისთვის, სადაც გამაჯვებული გამოვნელა ძალიან რთულია რადგან დაპირისპირებულ მხარეებს თითქმის თანაბარი ძალები გააჩნიათ, სახელმწიფოს და კოალიციების ძლიერების ყველა პარამეტრი, რომ გავითვალისწინოთ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო საკმაოდ საშიშ ფაზაში შედის, რაც გულისხმობს იმას, რომ გეოპოლიტიკური ტრანზაციის პირობებში სახელმწიფოებს მოუწევთ რთული გადაწყვეტილებების მიღება თუ ვის მხარეს იქნებია ახალი გეოპოლიტიკური გადანაწილების პირობებში. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ აშშ-ის ძალაუფლება ესე მარტივად წარმავალი არაა და მას კიდევ გააჩნია მნიშვნელოვანი ბერკეტები რათა სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიოს ჩინეთის აღმასვლას და დააბალანსოს იგი.

კვლვის პროცესში წარმოდგენილი ჰიპოთეზა დამტკიცდა და გამოიკვეთა ის ძირითადი მიმართულებები რომელმაც მოგვცა საშუალება, რომ დავასკვნათ ახალი მსოფლიო წესრიგის ცვლილების ფონზე ჩეინეთის როლი და ფაქტორი მსოფლიო პოლიტიკაში სულ უფრო იზრდება. შესაბამისად მისი დაბალანსება სულ უფრო რთული გახდება, მისი გავლენის სფეროების ზრდასთან ერთად.

ჩატარებული კვლევის პროცესში გამოიკვეთა ექვსვი მეცნიერული სიახლე, რომელთაც თანმიმდევრობით წარმოგიდგენთ:

1) კვლევამ აჩვენა რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტრანსფორმაციას რეგიონული ჰეგემონობიდან გლობალური გავლენის აქტორად ანუ „დიდ სახელმწიფოდ“, რომელსაც შეუძლია შეიტანოს დიდი და განსაკუთრებული

წვლილი გლობალურ დონეზე მიმდინარე საერთაშორისო წესრიგის ანუ მსოფლიო პოლარობის განსაზღვრაში გააჩნია პირველ რიგში სამხედრო-სტრატეგიული, გეოსტრატეგიული და სამხედრო-ტექნიკური ფაქტორები. აღნიშნული გარემოებები აგებული გრძელვადიანი სტრატეგიების ფარგლებში და გააჩნია კარგად ორგანიზებული და გააზრებული ტენდენციები. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის „თავდაცვის თეთრი წიგნი";

2) კვლევის პროცესში გაჩნდა ახალი ტერმინი "გეოსტრატეგიული კოდი", რომელიც მოიცავს მარკეტინგულ პროდუქტებზე, რომელიც დამაზიანებელია ქვეყნის უსაფრთხოებაზე დაკვირვებას და მიდევნებას, აღმოფხვრას ან ინფორმირებას შესაბამისი უწყებების. გთავაზობთ ამ ტერმინის დეფინიციას, რომელცსა გააჩნია არსებობის უფლება: "გეოსტრატეგიული კოდი" ეს არის ტერმინი, რომელიც განსაზღვრავს ახალი ტიპის სამხედრო-პოლიტიკური ფაქტორის მოდელს. კვლევის ფარგლებში, განხორციელებული და ჩვენს მიერ შემუშავებული დეფინიციის მიხედვით, „გეოსტრატეგიული კოდი - <u>ეს არის ის, თუ როგორ აღიქვამს ერი თავის ჩართულობას გლობალურ უსაფრთხოებაში, მისი სტრატეგიული შეიარაღების შესაძლებლობებისა და სამხედრო სტრატეგიული კულტურის საფუძველზე ეროვნული უსაფრთხოების აღქმის მეშვეობით.</u> ამავე დროს, კვლევის ფორმატში დაფიქსირდა თუ როგორ იყენებს ჩინეთის საკუთარ გეოსტრატეგიულ კოდს რეალურ გეოპოლიტიკური ვითარებაში (*იხილეთ დისერტაციი მესამე თავი)*;

3) პირველად ქართული სამხედრო პოლიტოლოგიაში, განხორციელდა პოლიტიკური ანალიზის კვლევის სამივე დონეზე, ჩინეთის სამხედრო დოქტრინის და სამხედრო-პოლიტიკური მისწრაფებების ფუნდამენტური ანალიზი და განხილული იქნა კონკრეტული სახის სამხედრო და შეიარაღებული კონფლიქტები, სადაც ჩინეთმა გამოიყენა და იყენებს საკუთარ სამხედრო პოტენციალს. აღნიშნული ანალიზი ნამდვილად გამოადგება

საქართველოს თავდაცვით ძალებს საკუთარი სტრატეგიული დოქტრინული დოკუმენტების დახვეწასა და საბრძოლო მომზადების გაუმჯობესებაში;

4) განხორციელდა საინტერესო კორელაცია თეორიულ ნარატივსა და რეალური პოლიტიკურ მოვლენებს შორის, რაც გამოიხატა იმ ფაქტორში, რომ გამოიკვეთა „შეირაღაებული ძალების ოთხი ამოცანის“ თეორიასა და ჩინეთის სამხედრო რეფორმებს შორის ურთიერთკავშირი და წარმოჩინდა მათ შორის არასებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირები;

5) განხილული და შესწავლილი იქნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გეოპოლიტიკური კოდის რეალური არსი და პირველად იქნა წარმოჩენილი თუ როგორ გამოიყურება აღნიშნული გეოპოლიტიკური კოდი და მისი სამივე დონის პარამეტრები და მიდგომები. აღნიშნული წარმოადგენს საინტერესო კვლევით მიდგომას საგარეო პოლიტიკის ანალიზის მიმართულებით;

6) პირველად ქართულ აკადემიურ რეალობაში, დეტალურად იქნა განხილული და შესწავლილი ჩინეთის ბირთვული „ტრიადის“ პოტენციალი და შესაძლებლობები და წარმოჩენილია ჩინური „დიდი სტრატეგიის“ კონცეფციის მნიშვნელოვანი ასპექტები და განხილულია მისი რელევანტურობა გეოსტრატეგიულ კოდთან.

ინფორმაცია აპრობაციის შესახებ

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა სამი კოლოკვიუმი და ერთი სემინარი.

სამი კოლოკვიუმი (თითოეული არის სადისერტაციო ნაშრომმის ნაწილი):

კოლოკვიუმი - I. გეოსტრატეგიული კოდის ფაქტორი ჩინეთის მსოფლიო გავლენის ცენტრად ფორმირების პროცესში და მისი თეორიული ჩარჩო.

კოლოკვიუმი - II. ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელი არმია როგორც ქვეყნის გეოსტრატეგიის რეალიზების მექანიზმი

კოლოკვიუმი - III. ჩინეთის გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციის გეოსტრაგიული პარადიგმა.

თემატური სემინარი (ეძღვნება დარგის/ქვედარგის აქტუალურ საკითხს და არ წარმოადგენს სადისერტაციო თემის ნაწილს):

„21-ე საუკუნეში საერთაშოისო უსაფრთხოების სისტემაში სამხედრო კოალიციების და ბლოკების მნიშვნელობა: ნატოს შემთხვევია გარჩევა“

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. “ჩინეთის სახალხო განმანთავისუფლებელი არმია, როგორც ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური ინსტრუმენტი-გეოსტრატეგიის ჩინური ვარიანტი”, პოლიტოლოგოსი 2021-N3, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, გამომცემლობა“ივერიონი“, თბილისი, 2021 წელი;
2. “ჩინეთის სამხედრო კონფლიქტებში მონაწილეობის პოლიტიკური ასპექტები (სსრკ-ჩინეთის სამხედრო კონფლიქტი და ჩინეთ-ვიეტნამის დაბალი ინტენსივობის კონფლიქტი”, პოლიტოლოგოსი 2022-N5, კავკასიის

საერთაშორისო უნივერსიტეტი, გამომცემლობა“ივერიონი“, თბილისი, 2022 წელი;

3. “Eurasian Geopolitics Importance to World Politics and China Geostrategy”, magazine “ANTE PORTAS”#1(12), University of Business and Entrepreneurship, Ostrowiec Świętokrzyski, 2019, DOI: 10.33674/220191

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები:

1. “China’s Geopolitical Code and Its Implementation Mechanisms in Challenging Global Security Environment”, published in “American Studies Periodical” 12th edition, International Black Sea University, American Studies International Research Conference Materials, Tbilisi, 2019;
2. International Scientific Conference: “Contemporary International Security and Weapons of Massive Destruction Proliferation – Asymmetric Challenges and Regional Security Dilemma” and Simulation Game, organized by CIU, STCU and SSI for CBRN Threats, hold on 14-15 December, 2023 in Tbilisi, Georgia.

Cucasus International University
Faculty of Social Sciences and Humanities

Doctoral Educational Program in Political Sciences

Rigt of Authorship

Koba Kobaladze

The Role of the Geostrategic Code of China in Transformation into a Global Center of Geopolitical Influence: Regional and Global Levels

Abstract dissertation Presented for degree of Doctor of Political Science

Tbilisi, 0142, Georgia
2024

The scientific work was completed at the policy education program of the faculty of social and humanitarian sciences of the Caucasus International University.

Scientific supervisor:

Vakhtang Maisaya

Doctor of Political Sciences, Caucasus International

University professor

Official reviewers:

Vakhtang Kapanadze

Doctor of military science, associate professor of Caucasus International University.

Nika Chitadze

Doctor of Geographic science, professor of International Black Sea University

The defense of the dissertation will take place on May 22, 2024, at 14:00 in the Dissertation Council of the Caucasus International University Faculty of Social Sciences and Humanities.

Address: 0141, Tbilisi, Chargali Street N 73, Caucasus International University, Building I, Room 305.

The dissertation is available in the library of Caucasus International University.

Secretary of the Dissertation Board - Petre Mamradze, Associate Professor of Caucasus International University.

Annotation

The dissertation - "The Role of Geostrategic Code in the Transformation of China into a Center of World Geopolitical Influence: Regional and Global Levels" is dedicated to presenting the growing role of China in international politics in the modern period. The article reviews the factor of China's geostrategic code in the process of its transformation as a center of geopolitical influence.

In the conditions of the ongoing geopolitical transition in the world, global actors are struggling to strengthen their power, as well as to create and increase new connections. All this will allow them to increase their role and place in geopolitical processes. China is playing an active role in this direction and its geopolitical intentions are becoming more and more active in world politics.

The first chapter of the paper discusses the role and importance of the Eurasian space in the international security system. Also in the mentioned process, the Chinese factor and its influence in the development of the Eurasian space and in the current political processes. Significant attention is paid to presenting China's strategy and future policies. Within the framework of the thesis, the essence of the geostrategic code, which determines China's domestic and foreign policy, is studied. Significant attention is paid to the study of military-strategic typology and methodological foundations, as well as to the determining aspects of its foreign political factors. The article also discusses the phenomenon of the "Cold War" and the transformation of China's military doctrine against the background of political processes and geopolitical events in the world.

The second chapter of the paper discusses the factor of the Chinese People's Liberation Army in the national security of its state. The role of the army as the country's foreign policy tool is quite important, because it determines the main supporting force in strengthening and maintaining the country's power. In the paper, significant attention is focused on the "smart

power" factor of China. To understand the political life of China, it is important to study the history of the People's Liberation Army and analyze its current political role. Also, the work pays significant attention to studying and analyzing the geostrategic aspects of the "nuclear triad" of the People's Republic of China. The political aspects of China's involvement in military conflicts are also discussed, namely the Soviet Union-China military conflict, which had a certain reflection on the development of the Chinese state, and the short-lived China-Vietnam war, where China's geopolitical role in the regional conflict was highlighted.

The third chapter of the paper was devoted to the research of the geostrategic aspects of China's geopolitical transformation, what path it took from regional to world leadership, and what geopolitical difficulties it had to overcome. The features of China's military strategy in the post-bipolar period and the concept of "grand strategy" in the strategic modeling of nuclear war were discussed within the framework of the situational analysis. A significant part of the study was devoted to defining China's nuclear deterrence policy in light of the new geostrategic background created in the world. Within the framework of the study, the global security aspects of the realization of China's geostrategic code and the geopolitical characteristics of its actual implementation were highlighted.

As a result of the research, China's role and factor in world politics and the main mechanisms that contribute to its military-political strength were revealed. Relevant research methods and methodology were selected for the dissertation topic, in the framework of which significant research was carried out, as a result of which the research questions were answered and the hypothesis was approved. A significant part of the study was devoted to the SWOT-Analyse method of China's geostrategic code, within which the main aspects of China's geostrategic guide and its implementation mechanisms were highlighted. The last part of the paper is devoted to the conclusion, where the main results of the research and scientific news are highlighted, as well as answers to the research questions and the hypothesis of the thesis are approved.